



**დამოუკიდებელი ინსპექტორის  
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

**ქ. თბილისი**

**2020 წლის 24 აგვისტო**

**დისციპლინური საქმე №62/20  
მოსამართლე --- მიმართ  
დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ**

--- დირექტორის, --- 2020 წლის 10 ივლისის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75<sup>6</sup> მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 22 ივლისის №383/62-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

**1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები:**

1.1. საჩივრის ავტორის განცხადებით, მოპასუხემ სასამართლოს შესაგებელი წარუდგინა კანონის მოთხოვნების დარღვევით, თუმცა, მოსამართლე --- ჩათვალა, რომ შესაგებელი წარმოდგენილი იყო კანონის მოთხოვნების დაცვით და სარჩელის ავტორის შუამდგომლობის მიუხედავად, არ მიიღო საქმეზე დაუსწრებელი გადაწყვეტილება. აღსანიშნავია, რომ მოსამართლეს საერთოდ არ განუხილავს მხარის მიერ წარდგენილი შუამდგომლობა და არ მიუღა არანაირი დოკუმენტი, რომლის ფარგლებშიც განხილული იქნებოდა სადავო საკითხი.

1.2. მოსამართლის ასეთი დამოკიდებულება ხელს უწყობს საქმის განხილვის უსაფუძვლოდ გაჭიანურებას და მატერიალურ ზიანს აყენებს საჩივრის ავტორს.

**2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:**

2020 წლის 12 მარტს --- წარმომადგენელმა, --- სარჩელით მიმართა --- საქალაქო სასამართლოს და მოპასუხისთვის, --- ლარის დაკისრება მოითხოვა (დავა ეხება ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე საფასურის გადახდის ვალდებულებას). საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე ---.

მოპასუხის, --- წარმომადგენელმა, --- სასამართლოში შესაგებელი წარადგინა 2020 წლის 01 აპრილს. შესაგებელში მითითებული იყო, რომ მოპასუხე არ აღიარებდა სასარჩელო მოთხოვნას.

2020 წლის 07 აპრილს მოსარჩელის წარმომადგენელმა საქმეზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შესახებ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს. შუამდგომლობაში მხარე აღნიშნავდა, რომ მოპასუხის მიერ წარმოდგენილი შესაგებელი არ პასუხობდა კანონის მოთხოვნებს და შესაბამისად, მოსამართლე ვალდებული იყო მიეღო საქმეზე დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

2020 წლის 26 ივნისის განჩინებით საქმეზე მოსამზადებელი სხდომა დაინიშნა 2020 წლის 29 სექტემბერს.

### **3. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

ამასთან, მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილება აქვს მხოლოდ მოსამართლეს კანონით დადგენილი წესით, ხოლო მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლებამოსილება აქვს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

„მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ქრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

ამდენად, არსებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე -- არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომში სსსკ) 201-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, „მოპასუხე ვალდებულია სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მიღების შემდეგ, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში წარუდგინოს სასამართლოს თავისი პასუხი (შესაგებელი) სარჩელზე და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე თავისი

მოსაზრებები სარჩელისათვის დართული დოკუმენტების შესახებ და მოსარჩელისათვის პასუხის (შესაგებლის) და თანდართული დოკუმენტების ასლების გაგზავნის დამადასტურებელი დოკუმენტი.“ იმავე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილების მიხედვით, თუ შესაგებელი არ შეიცავს ინფორმაციას სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით (მე-4 ნაწილი), ასევე, თუ შესაგებელს არ აქვს დართული მტკიცებულებები (მე-5 ნაწილი), ეს არ შეიძლება გახდეს მოსამართლის მიერ შესაგებელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი. სსსკ-ს 201-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებში განსაზღვრულ შემთხვევებში, მოპასუხეს ეზღუდება გარკვეული საპროცესო უფლებები საქმის არსებითად განხილვის დროს.

სსსკ-ის 232<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, მოპასუხის მიერ შესაგებელის დადგენილ ვადაში წარუდგენლობის შემთხვევაში, „...თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას; წინააღმდეგ შემთხვევაში მოსამართლე ნიშნავს სხდომას, რის შესახებაც ეცნობებათ მხარეებს ამ კოდექსის 70-ე–78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მოპასუხისაგან მტკიცებულებათა მიღება არ ხდება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით.“

სსსკ-ის 205-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, „თუ წარმოდგენილი წერილობითი მასალები მოსამართლეს აძლევს ვარაუდის საფუძველს, რომ შეიძლება მხარეებმა საქმე მორიგებით დაამთავრონ, მოპასუხემ ცნოს სარჩელი ან მოსარჩელემ უარი თქვას სარჩელზე, აგრეთვე თუ, მოსამართლის აზრით, სასამართლო განხილვისათვის საქმის სათანადოდ მომზადების ინტერესები ამას მოითხოვს, მოსამართლე უფლებამოსილია მხარეთა წერილობითი მასალების მიღებიდან 5 დღის განმავლობაში დანიშნოს მოსამზადებელი სხდომა ან მხარეებთან სატელეფონო გასაუბრება ან ვიდეოკონფერენცია, რის შესახებაც განჩინების მიღებიდან 3 დღის ვადაში ეცნობებათ მხარეებს.“

სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, „თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.“ იმავე კოდექსის 105-ე მუხლის შესაბამისად, „სასამართლოსთვის არანაირ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა.“ მოსამართლე მხოლოდ „შინაგანი რწმენით“ აფასებს წარმოდგენილ მტკიცებულებებს და მოსაზრებებს, რომლებიც საფუძველად უდევს მის „შინაგან რწმენას“, ასახავს გადაწყვეტილებაში.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოპასუხემ სასამართლოს შესაგებელი წარუდგინა 2020 წლის 01 აპრილს. 2020 წლის 26 ივნისის განჩინებით საქმეზე მოსამზადებელი სხდომა დაინიშნა 2020 წლის 29 სექტემბერს. ამდენად, მოსამართლემ ჩათვალა, რომ შესაგებელი პასუხობდა კანონის მოთხოვნებს და მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე მოსამზადებელი სხდომის დანიშვნის თაობაზე. ასეთ შემთხვევაში, მოსამართლის მიერ მიღებული განჩინების/ების შინაარსი სრულადაა დამოკიდებული მოსამართლის შენაგან რწმენაზე. საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს მიმდინარე კანონების და საერთაშორისო სამართლის პრინციპების თანახმად, მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა სცილდება დამოუკიდებელი ინსპექტორის კომპეტენციის ფარგლებს.

აღსანიშნავია, რომ სსსკ-ის 232<sup>1</sup> მუხლის შემთხვევაში, მოსამართლე შინაგანი რწმენის საფუძველზე, პირადი ინიციატივით წყვეტს საკითხს საქმეზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე. შესაბამისად, საჩივრის ავტორის პრეტენზია იმის შესახებ, რომ მოსამართლე მხარის 2020 წლის 07 აპრილის შუამდგომლობის საპასუხოდ ვალდებული იყო მიეღო განჩინება, უსაფუძველოა და არ შეესაბამება საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნას.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტის კანონიერებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტით, 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

### **გადაწყვიტა:**

1. -- -- დირექტორის, -- -- 2020 წლის 10 ივლისის №-- საჩივრის საფუძველზე მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლის მიერ მიღებული განჩინების კანონიერების შემოწმების მოთხოვნის ნაწილში.
2. გაგრძელდეს №62/20 დისციპლინურ საქმეზე დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის სხვა ფაქტების შესწავლის ნაწილში.

**ზურაბ აზნაურაშვილი**

**დამოუკიდებელი ინსპექტორი**